თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2021 წლის 23 დეკემბერი
რიგგარეშე სხდომის
ოქმი № 16

ქ. თერჯოლა 23 დეკემბერი 2021 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

**სხდომას უძღვებოდა:** საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ზარათაშვილი

**სხდომას ესწრებოდნენ:** 1. გიორგი ზარათაშვილი, 2. ამირან ვერულაშვილი, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. თემური ქორიაშვილი, 5. ლაშა გურგენიძე, 6. იზა მაგრაქველიძე, 7. ბიძინა ბუცხრიკიძე, 8. კობა კაცაძე, 9. ნინო მახათაძე, 10. ბადრი ბუცხრიკიძე, 11. ჯემალი ისაკაძე, 12. ელისო მურადაშვილი, 13. მანუჩარ ფანჩულიძე, 14. შალვა ჭანკვეტაძე, 15. გრიგოლ გიორგაძე, 16. გოჩა ვერულაშვილი, 17. დავით გოგბერაშვილი, 18. რუსუდან კოჭზირიძე

**სხომას არ ესწრებოდნენ:** 1. ომარი ჯიხვაშვილი, 2. კახა ბუცხრიკიძე, 3. რამინი რობაქიძე, 4. თამარ აბელედიანი, 5. ამბერკი დოლაკიძე, 6. დავით ცხადაძე, 7. ნატალია ასათიანი, 8. კობა კირკიტაძე, 9. მერაბი ბასილაძე, 10. ლევანი კვატაია, 11. როლანდი მესხი, 12. ივანე ჩუბინიძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 18 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომა დაიწყო $14^{00}$ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - $14^{20}$ სთ-ზე.

*საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.*

დღის წესრიგი:

1. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282135616, 22.12.2021 წ.).

მომხს.: თ. ქორიაშვილი
თანამომხს.: ა. ურიადმყოფელი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია საშემოსავლო ნაწილის ცვლილებამ. დაკორექტირდა შემოსულობები და მოხდა ხარჯვითი ნაწილის კორექტირება.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა შემცირდა 975.0 ათასი ლარით და შეადგენს 20662.0 ათას ლარს.

გრანტების გეგმა შემცირდა 635,5 ათასი ლარი. სხვა შემოსავლების გეგმა შემცირდა 432.1 ათასი ლარით და არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდა164.0 ათასი ლარით ).

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 256.6 ათასი ლარით (ქონების გადასახადი).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა - 1250.9 ათასი ლარით, საკრებულოს დაფინანსება შემცირდა 47.9 ატასი ლარით. მერიის დაფინანსება შემცირდა 75.1 ათასი ლარით. სამხედრო სამსახურის დაფინანსება შემცირდა 5.7 ათასი ლარით. კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი შემცირდა 1.9 ათასი ლარით. გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი შემცირდა 22.1 ათასი ლარით. წყალმომარაგება შემცირდა 399.7 ათასი ლარით. გარე განათების ხარჯი შემცირდა 8.7 ათასი ლარით. კომუნალური მეურნეობის განვითარება შემცირდა 65,0 ათასი ლარით. საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა დასაპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება შემცირდა 45.0 ათასი ლარით. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია შემცირდა 166,3 ათასი ლარით.საჯარო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება შემცირდა 381.1 ათასი ლარით. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება შემცირდა 1.4 ათასი ლარით. ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის დაფინანსება შემცირდა 14.0 ათასი ლარით. ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება შემცირდა 5.0 ათასი ლარით. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება შემცირდა 12.0 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 275.9 ათასი ლარით: გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი გაიზარდა 275.9 ათასი ლარით. ლარით.(კვახჭირში ცენტრალური საავტომობილო გზის დაფინანსება გაიზარდა 98.0 ათასი ლარით და სიქთარვა-ჩხარი ეწრის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის დაფინანსდება გაიზარდა 177.9 ათასი ლარით.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე-18, წინააღმდეგი -0

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება № 22, 23.12.2021 წ.).

*სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ზარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.*

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ზარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2021 წლის 14 დეკემბერი
რიგგარეშე სხდომის
ოქმი № 15

ქ. თერჯოლა

14 დეკემბერი 2021 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

**სხდომას უძღვებოდა:** საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

**სხდომას ესწრებოდნენ:** 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ამირან ვერულაშვილი, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. თემური ქოჩიაშვილი, 5. ლაშა გურგენიძე, 6. იზა მაგრაქველიძე, 7. ბიძინა ბუცხრიკიძე, 8. კობა კაცაძე, 9. ნინო მახათაძე, 10. ომარი ჯიხვაშვილი, 11. ბადრი ბუცხრიკიძე, 12. ჯემალი ისაკაძე, 13. ელისო მურადაშვილი, 14. მანუჩარ ფანჩულიძე, 15. შალვა ჭანკვეტაძე, 16. გრიგოლ გიორგაძე, 17. გოჩა ვერულაშვილი, 18. დავით გოგბერაშვილი, 19. კახა ბუცხრიკიძე, 20. რამინი რობაქიძე, 21. თამარ ახვლედიანი, 22. ამბერკი დოლაკიძე, 23. დავით ცხადაძე, 24. ნატალია ასათიანი, 25. კობა კორკიტაძე, 26. მერაბ ბასილაძე, 27. ლევან კვატაია, 28. რუსუდან კოფზირიძე, 29. როლანდი მესხი, 30. ივანე ჩუბინიძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 30 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომა დაიწყო $12^{00}$ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - $14^{20}$ სთ-ზე.

*საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.*

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282131968, 15.11.2021 წ.);

   მომხ.: თ. ქოჩაშვილი

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შესახებ ინფორმაციის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282128429,11.10.2021 წ.);

   მომხ.: თ.ქოჩაშვილი
   თანმომხ.: დ. ლილუაშვილი

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის № 14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-2821336124, 02.12.2021 წ.);

მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

5. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის თაობაზე.

მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 30 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2022 წლის საგასავლო ნაწილის საპროგნოზო პარამეტრები განსაზღვრულია საშემოსავლო ნაწილის შესაბამისად - 13500.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც 2300.0 ათასი ლარით მეტია 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

**აზრი გამოთქვეს:** ბადრი ბუცხრიკიძემ, ამბერკი დოლაკიძემ, გოჩა ვერულაშვილმა

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე-18, წინააღმდეგი -3, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა - 9**

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი (დადგენილება №21, 14.12.2021 წ.).

2

**მოისმინეს:** მომხსენებელმა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შესახებ ინფორმაცია.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**გადაწყვიტეს:** ცნობად იქნას მიღებული თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შესახებ ინფორმაცია (განკარგულება №გ-29.29213481, 14.12.2021 წ.).

3.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის № 14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - დადგენილების პროექტის შემუშავების მიზეზია „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებული პირებისათვის შრომის ანაზღაურების საკითხის მოწესრიგება. პროექტის მიზანია, მერიაში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება შესაბამისობაში იყოს შრომის ანაზღაურების სისტემის ძირითადი პრინციპებთან.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე-18, წინააღმდეგი -7, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა -2**

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის № 14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (დადგენილება № 20, 14.12.2021).

4

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - ცვლილება გამოიწვია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 36-ე და 38 -ე მუხლებში შესულმა ცვლილებამ. კერძოდ საკრებულოს თავმჯდომარეს ჰყავს სამი მოადგილე და ფრაქციის თავმჯდომარეს ყოველ სამ კაცზე - ერთი მოადგილე, შესაბამისი ცვლილება შედის საკრებულოს საშტატოში.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა -10**

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საჯარო მოსა მსახურეთა თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №18, 14.12.2021).

5.
**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზიმინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საჯარო მოსა მსახურეთა თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი - დადგენილების პროექტის შემუშავების მიზეზია „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღარურების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებული პირებისათვის შრომის ანაზღაურების საკითხის მოწესრიგება. პროექტის მიზანია, მერიაში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება შესაბამისობაში იყოს შრომის ანაზღაურების სისტემის ძირითადი პრინციპებთან.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 18, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა -12

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საჯარო მოსა მსახურეთა თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი (დადგენილება № 19, 14.12.2021

*სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.*

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი